585/2
1980

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 7 (475)

1980 წლის ივლისი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

16565

№ 7 (475) ივლისი 1980 წელი

## შინაარსი

### განყოფილება პირველი

215. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ფინანსებისა და კრედიტის საკითხებზე საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

216. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ადამიანების ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი რესურსებისათვის მავნე ნივთიერებებით ანდა სხვა ნარჩენებითა და მასალებით ზღვის გაჭუჭყიანების გამო პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ

217. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ, სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

218. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

219. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებათა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და დადგენილებათა გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ კანონების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა აქტების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებების გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

220. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ კანონების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა აქტების. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებების გამოსაქვეყნებლად მუშაობის ორგანიზაციის შესახებ.

განყოფილება მეორე

221. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ ახალგაზრდობის დამსახურებული დამრიგებლის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

222. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

223. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

224. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

225. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. რ. ვ. არშბასათვის საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

226. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის სისტემის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

227. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. მ. ილურიძისათვის საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

228. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რესპუბლიკის ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

229. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

230. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

231. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ვ. გველესიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

232. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ა. კიკნაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

233. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ვ. ნინიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

234. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. ო. ქვანიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

235. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ა. სამხარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

236. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. გ. ურჯუმელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

237. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ი. ხარებავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

238. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საგარეჯოს რაიონულ გაზეთ „ივრის განთიადის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

239. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. თარხნიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

240. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ო. მ. ქვანიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

241. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ი. შონიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

242. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სომხეთის სსრ ქ. ს. სტანისლავსკის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

243. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. შ. ვასაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

244. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ი. ქოჩიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

245. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ა. თოთიბაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

246. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ნ. ჩხეიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საინფორმაციო ცნობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 215 ფინანსებისა და კრედიტის საკითხებზე საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს სსრ შემდეგი საკანონმდებლო აქტები:

1. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 2 ივლისის დადგენილება „კოლექტიურ მეურნეობათა საზოგადოებრივი საურთიერთო დახმარების სალაროების დებულების დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს სსრ კან. კრ. 1932 წ., № 20, მუხ. 160).

2. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 8 აგვისტოს დადგენილება „საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1934 წ., № 25, მუხ. 195).

3. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 23 ნოემბრის დადგენილება „სასოფლო საბჭოების საბიუჯეტო უფლებათა დებულების მე-6 მუხლის შეცვლის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1937 წ., № 18, მუხ. 133).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 8 ივლისი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 216 ადამიანების ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი რესურსებისათვის მავნე ნივთიერებებით ანდა სხვა ნარჩენებითა და მასალებით ზღვის გაჭუჭყიანების გამო პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ

„ადამიანების ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი რესურსებისათვის მავნე ნივთიერებებით ზღვის გაჭუჭყიანების გამო პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 21 მაისის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის $176^1$ მუხლი:

**„მუხლი $176^1$.** ადამიანების ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი რესურსებისათვის მავნე ნივთიერებების ანდა სხვა ნარჩენებისა და მასალების ზღვაში უკანონოდ ჩაყრა

გემებიდან და სხვა მცურავი საშუალებებიდან, საჰაერო ხომალდებიდან, პლატფორმებიდან ან ზღვაში ხელოვნურად აგებული სხვა კონსტრუქციებიდან სსრ კავშირის შინაგანი საზღვაო და ტერიტორიული წყლების ფარგლებში ჩამარხვის მიზნით ადამიანების ჯანმრთელობის ან ზღვის ცოცხალი რესურსებისათვის მავნე ნივთიერებების ანდა სხვა ისეთი ნარჩენებისა და მასალების უკანონოდ ჩაყრა, რომლებსაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ დასვენების ზონებს ან ხელი შეუშალონ ზღვის გამოყენების სხვა კანონიერ სახეობებს, აგრეთვე საბჭოთა გემებიდან და სხვა მცურავი საშუალებებიდან, საჰაერო ხომალდებიდან, პლატფორმებიდან ან ზღვაში ხელოვნურად აგებული სხვა კონსტრუქციებიდან ღია ზღვაში ჩამარხვის მიზნით აღნიშნული ნივთიერებების, ნარჩენებისა და მასალების უკანონოდ ჩაყრა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით 10 000 მანეთამდე".

2. კოდექსის $176^1$ და $176^2$ მუხლები ჩაითვალოს შესაბამისად $176^2$ და $176^3$ მუხლებად და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი $176^2$.** ადამიანების ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი რესურსებისათვის მავნე ნივთიერებებით ანდა სხვა ნარჩენებითა და მასალებით ზღვის გაჭუჭყიანება

სსრ კავშირის შინაგანი საზღვაო და ტერიტორიული წყლების გაჭუჭყიანება იმის შედეგად, რომ ამ წყლებში გემებიდან და სხვა მცურავი საშუალებებიდან, საჰაერო ხომალდებიდან, პლატფორმებიდან ან ზღვაში ხელოვნურად აგებული სხვა კონსტრუქციებიდან უკანონოდ ჩაყარეს ადამიანების ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი რესურსებისათვის მავნე ნივთიერებები ანდა ნარევები, რომლებიც ასეთ ნივთიერებებს შეიცავენ დადგენილი ნორმების გადამეტებით, ან სხვა ისეთი ნარჩენები და მასალები, რომლებსაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ დასვენების ზონებს ან ხელი შეუშალონ ზღვის გამოყენების სხვა კანონიერ სახეობებს, ანდა არ მიიღეს საჭირო ზომები მათი დაკარგვის თავიდან ასაცილებლად, აგრეთვე ღია ზღვის გაჭუჭყიანება იმის შედეგად, რომ საბჭოთა გემებიდან და სხვა მცურავი საშუალებებიდან, საჰაერო ხომალდებიდან, პლატფორმებიდან ან ზღვაში ხელოვნურად აგებული სხვა კონსტრუქციებიდან, სსრ კავშირის საერთაშორისო ხელშეკრულებათა დარღვევით, უკანონოდ ჩაყარეს აღნიშნული ნივთიერებები, შენარევები, ნარჩენები და მასალები ანდა არ მიიღეს საჭირო ზომები მათი დაკარგვის თავიდან ასაცილებლად, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, ან ჯარიმით 15000 მანეთამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგივე მოქმედება, თუ მან მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ადამიანების ჯანმრთელობას ან ზღვის ცოცხალ რესურსებს, დასვენების ზონებს ანდა ზღვის კანონიერი გამოყენების სხვა სახეობებს, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე ან ჯარიმით 25000 მანეთამდე.

მუხლი 176³. ადამიანების ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი რესურსებისათვის მავნე ნივთიერებების ანდა სხვა ნარჩენებისა და მასალების ზღვაში ჩაყრის შესახებ შეუტყობინებლობა იმ თანამდებობის პირის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია ასეთი შეტყობინებისათვის

გემების და სხვა მცურავი საშუალებების, საჰაერო ხომალდების, პლატფორმების ან ზღვაში ხელოვნურად აგებული სხვა კონსტრუქციების სათანადო პასუხისმგებელ თანამდებობის პირთა მიერ უახლოესი საბჭოთა პორტის ადმინისტრაციისათვის, ხოლო ჩამარხვის მიზნით ჩაყრის შემთხვევაში — აგრეთვე ჩაყრის ნებართვის მიმცემი ორგანიზაციისათვის, შეუტყობინებლობა იმისა, რომ სსრ კავშირის შინაგანი საზღვაო ან ტერიტორიული წყლების ფარგლებში მზადდება ან უკიდურესი აუცილებლობის შედეგად მოხდა ჩაყრა ან აუცდენელი დაკარგვა ადამიანების ჯანმრთელობისათვის ან ზღვის ცოცხალი რესურსებისათვის მავნე ნივთიერებებისა ან ისეთი შენარევებისა, რომლებიც ასეთ ნივთიერებებს დადგენილი ნორმების გადამეტებით შეიცავენ, ანდა სხვა ნარჩენების და მასალებისა, რომლებსაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ დასვენების ზონებს ან ხელი შეუშალონ ზღვის გამოყენების სხვა კანონიერ სახეობებს, აგრეთვე საბჭოთა გემებისა და სხვა მცურავი საშუალებების, საჰაერო ხომალდების, პლატფორმების ან ზღვაში ხელოვნურად აგებული სხვა კონსტრუქციების სათანადო პასუხისმგებელ თანამდებობის პირთა მიერ უახლოესი საბჭოთა პორტის ადმინისტრაციისათვის, ხოლო ჩამარხვის მიზნით ჩაყრის შემთხვევაში — აგრეთვე ჩაყრის ნებართვის მიმცემი ორგანიზაციისათვის, შეუტყობინებლობა იმისა, რომ მზადდება ან უკიდურესი აუცილებლობის შედეგად მოხდა აღნიშნული ნივთიერებების, შენარევების, ნარჩენებისა და მასალების ჩაყრა ღია ზღვაში, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით 500 მანეთამდე".

II. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 176¹ მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე წინასწარ გამოძიებას აწარმოებენ პროკურატურის ორგანოების გამომძიებლები.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 126-ე მუხლის მესამე ნაწილს ციფრის „176²" შემდეგ დაემატოს ციფრი „176³".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 18 ივლისი.

№ 7
ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 217 საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

„გაუპატიურებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 28 აპრილის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. $25^1$ მუხლის პირველ პუნქტში, 44-ე მუხლის პირველ პუნქტში, 54-ე მუხლის მეექვსე ნაწილის პირველ პუნქტში და 55-ე მუხლის მეექვსე ნაწილის მეორე პუნქტში სიტყვები „გაუპატიურებისათვის, რაც ჩადენილია ჯგუფის მიერ ან რომელსაც განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოჰყვა, აგრეთვე არასრულწლოვანის გაუპატიურებისათვის (117-ე მუხლის მესამე ნაწილი)“ შეიცვალოს სიტყვებით „გაუპატიურებისათვის, რაც ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ ან რასაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა, აგრეთვე არასრულწლოვანის ან მცირეწლოვანის გაუპატიურებისათვის (117-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილები)“.

2. 117-ე მუხლში:

ა) მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გაუპატიურება, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ, ან არასრულწლოვანის გაუპატიურება —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე“.

ბ) ამ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეოთხე ნაწილი:

„გაუპატიურება, ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ, ან რასაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა, აგრეთვე მცირეწლოვანის გაუპატიურება —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე, გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე ან ისჯება სიკვდილით“.

II. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლში სიტყვები „117-ე მუხლის III ნაწილი“ შეიცვალოს სიტყვებით „117-ე მუხლის IV ნაწილი“.

III. ეს ბრძანებულება სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1980 წლის 1 ივნისიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 29 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 218 ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე საქართველოს სსრ ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს სსრ შემდეგი საკანონმდებლო აქტები:

1. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წლის 2 ივლისის დადგენილება „კურორტების სამთო-სასანიტარო ოლქის ფარგლებში ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემულ სასანიტარო სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრაციული წესით დასჯის დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ., 1924 წ., № 2, მუხ. 1).

2. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 27 სექტემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ გამოცალკევებული კურორტების შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ., 1931 წ., № 21, მუხ. 228).

3. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 22 ნოემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ-ის გამოცალკევებული კურორტების თაობაზე" გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. სექტემბრის 27-ის დადგენილების მე-4 და მე-5 მუხლების შეცვლის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ., 1933 წ., № 1, მუხ. 25).

4. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 14 ივნისის დადგენილება „საქართველოს სსრ გამოცალკევებული კურორტების თაობაზე" გამოცემული დადგენილების მე-4 მუხლის შეცვლის შესახებ" (საქართველოს სსრ კან. კრ., 1933 წ., № 16, მუხ. 228).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ი. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1980 წლის 29 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 219 „საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებათა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და დადგენილებათა გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. „საქართველოს სსრ კანონთა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებათა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა და დადგენილებათა გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 4 მარტის ბრძანებულებაში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ., № 2, მუხ. 6) შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ კონსტიტუციიდან და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტიდან გამომდინარე ცვლილებები და დამატებები და დამტკიცდეს ბრძანებულების ახალი რედაქცია.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 20 ოქტომბრის დადგენილება „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებების“ გამოცემის შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1965 წ., № 28, მუხ. 582).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 28 თებერვლის დადგენილება „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებების“ გამოცემასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის შესახებ“ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1966 წ., № 2, მუხ. 19).

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**
თბილისი. 1980 წლის 29 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## საქართველოს სსრ კანონების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა აქტების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებების გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესის შესახებ

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 110-ე მუხლისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები და სხვა აქტები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები არაუგვიანეს შვიდდღიანი ვადისა მათი მიღების შემდეგ ქვეყნდება ქართულ და რუსულ ენებზე, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქისათვის — აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ენაზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით.

აღნიშნული აქტების დანართები ქვეყნდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის ხელმოწერით.

2. საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები და სხვა აქტები უნდა გამოქვეყნდეს „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებში“, რესპუბლიკურ გაზეთებში „კომუნისტსა“ და „ზარია ვოსტოკაში“ და საოლქო გაზეთებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები ქვეყნდება „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებში“. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აქტები, რომლებიც ფართო და დაუყოვნებლივ გამოქვეყნებას მოითხოვენ, იბეჭდება აგრეთვე რესპუბლიკურ გაზეთებში „კომუნისტში“, „ზარია ვოსტოკასა“ და საოლქო გაზეთებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აქტების გამოქვეყნება „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებში“, გაზეთებში „კომუნისტში“, „ზარია ვოსტოკასა“ და საოლქო გაზეთებში ოფიციალური გამოქვეყნებაა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აქტები შეიძლება დაიბეჭდოს აგრეთვე სხვა ბეჭდვითი სიტყვის ორგანოში, გამოქვეყნდეს ტელევიზიით, რადიოთი, გადაიცეს ტელეგრაფით, დაეგზავნოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები, რომლებიც ზოგადი მნიშვნელობის არ არიან ან ნორმატიულ ხასიათს არ ატარებენ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით შეიძლება არ გამოქვეყნდეს. ეს აქტები ეგზავნებათ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც გააცნობენ მათ იმ საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და პირთ, რომლებზეც ვრცელდება ამ აქტების მოქმედება.

4. „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარდგინებით ქვეყნდება საქართველოს სს რესპუბლიკისათვის ძალაში შესული, საქართველოს სს რესპუბლიკის სახელით დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელთა ხელმოწერის შესახებ გადაწყვეტილებანი მიღებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დადებული საქართველოს სსრ საერთაშორისო ხელშეკრულებები, რატიფიცირებული ხელშეკრულებები და ხელშეკრულებები, რომლებთანაც შეერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თება განხორციელდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

საქართველოს სსრ საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელთა ავთენტიკური ტექსტები უცხო ენებზეა შედგენილი, ქვეყნდება „უწყებებში" ერთ-ერთ ამ ენაზე ქართულად ოფიციალური თარგმანითურთ.

5. საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები და სხვა აქტები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ზოგადნორმატიული ხასიათის ბრძანებულებები და დადგენილებები საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე ძალაში შედიან ერთდროულად „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებში" მათი გამოქვეყნებიდან ათი დღის გასვლის შემდეგ. იგივე აქტები, რომლებიც „უწყებებში" დაბეჭდვამდე გამოქვეყნებული იყო გაზეთებში „კომუნისტში", „ზარია ვოსტოკასა" და საოლქო გაზეთებში, ძალაში შედიან „კომუნისტში", „ზარია ვოსტოკასა" და საოლქო გაზეთებში მათი გამოქვეყნებიდან ათი დღის გასვლის შემდეგ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გამოქვეყნებული არანორმატიული ხასიათის აქტები ძალაში შედიან მათი მიღებისთანავე.

აქტების ძალაში შესვლის ამ მუხლში მითითებული ვადები არ გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ აქტის მიღებისას დადგენილია მისი სამოქმედოდ შემოღების სხვა ვადა.

6. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები, რომლებიც გამოქვეყნებული არ არის ამ ბრძანებულების მე-3 მუხლის შესაბამისად, ძალაში შედიან სახელმწიფო ორგანოების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მათი მიღების მომენტიდან, თუ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს არ დაუდგენია მათი სამოქმედოდ შემოღების სხვა ვადა.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 220 საქართველოს სსრ კანონების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა აქტების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებების გამოსაქვეყნებლად მუშაობის ორგანიზაციის შესახებ

„საქართველოს სსრ კანონების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა აქტების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებების გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიუმის ბრძანებულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. საქართველოს სსრ კანონების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა აქტების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებების გამოსაქვეყნებლად მუშაობას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის განკარგულებით გამოსაქვეყნებელი აქტების დედნებზე კეთდება შემდეგი წარწერები:

„გამოქვეყნდეს „უწყებებში";

„გამოქვეყნდეს „უწყებებში", გაზეთებში „კომუნისტში", „ზარია ვოსტოკასა" და საოლქო გაზეთებში".

ეს წარწერები შეიძლება შეიცავდეს მითითებებს როგორც აქტის სრული ტექსტის გამოქვეყნების შესახებ, ისე ბეჭდვითი სიტყვის სხვა ორგანოში, ტელევიზიით, რადიოთი ან ტელეგრაფით მისი მოკლე შინაარსის გადმოცემის თაობაზე.

3. აქტებზე, რომლებიც „საქართველოს სსრ კანონების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა აქტების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებების გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მე-3 მუხლის შესაბამისად არ ქვეყნდება, კეთდება წარწერა „არ უნდა გამოქვეყნდეს".

4 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის აქტების გამოსაქვეყნებლად მუშაობის ორგანიზაცია, ამ აქტების გაგზავნა გამოსაქვეყნებლად, კონტროლი მათი გამოქვეყნების სისწორესა და დროულობაზე ეკისრება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველობას.

5. „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები" გამოიცემა ყოველთვიურად.

„უწყებების" გამოშვებას და აქტების ოფიციალურ თარგმანს რუსულ ენაზე ახორციელებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველობის გამოქვეყნებისა და თარგმნის ჯგუფი.

6. „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები" შედგება სამი განყოფილებისა და დანართისაგან.

7. „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებების" პირველ განყოფილებაში ქვეყნდება:

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები და სხვა აქტები;

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნორმატიული ხასიათის ბრძანებულებები და დადგენილებები და საქართველოს სსრ უმაღლესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოს პრეზიდიუმის ზოგადი მნიშვნელობის მქონე სხვა ბრძანებულებები და დადგენილებები;

საქართველოს სსრ საერთაშორისო ხელშეკრულებები; საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სხვა იმ ორგანოების შემადგენლობაში შემავალი ცალკეული პირების თანამდებობიდან განთავისუფლებისა და დანიშვნის შესახებ, რომლებსაც ქმნის ან ირჩევს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო და მისი პრეზიდიუმი, უცხოეთის სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს სსრ დიპლომატიური წარმომადგენლების დანიშვნისა და გამოწვევის შესახებ.

8. „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებების" მეორე განყოფილებაში ქვეყნდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ; პერსონალური ხასიათის სხვა აქტები.

9. „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებების" მესამე განყოფილებაში ქვეყნდება ინფორმაცია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის, მუდმივი კომისიებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა ორგანოების საქმიანობის შესახებ, აგრეთვე სხვა საკითხებზე.

10. „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებების" პირველ და მეორე განყოფილებებში გამოქვეყნებულ აქტებს შესაბამისი რიგითი ნომრები აქვთ. აქტების დანართებიც იმავე ნომრით ქვეყნდება.

11. საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის განკარგულებით, „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებების" დანართებში ქვეყნდება დიდი მოცულობის კანონები, კოდექსები და სხვა აქტები, აგრეთვე სხვა დოკუმენტები და მასალები.

12. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის აქტებს პრესაში („უწყებების", „კომუნისტის", „ზარია ვოსტოკას" და საოლქო გაზეთების გარდა), ტელევიზიით და რადიოთი გამოსაქვეყნებლად გზავნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველობა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საინფორმაციო სააგენტოს (საქინფორმი) მეშვეობით.

13. საინფორმაციო ცნობების პუბლიკაცია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ აქტების შესახებ, რომლებიც არ გამოქვეყნებულა, დასაშვებია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის ნებართვით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 29 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 221 „საქართველოს სსრ ახალგაზრდობის დამსახურებული დამრიგებლის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მოსწავლე ახალგაზრდობის პროფესიული მომზადებისა და კომუნისტური აღზრდისათვის გაწეული ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ ახალგაზრდობის დამსახურებული დამრიგებელი“**:

**ბახტაძეს** ნაზიკო ლუკას ასულს — თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ქაკარდული აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ფეიქარს.

**გუგუნავას** ზურაბ დავითის ძეს — თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტრომავალმშენებლის“ ხარატს.

**გულოშვილს** გიორგი გიორგის ძეს — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს მვალცავს.

**ვაშაკიძეს** ბორის ილიას ძეს — ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მძღოლ-გამომცდელს.

**კურტანიძეს** გიორგი კონსტანტინეს ძეს — თბილისის ქარხანა „ცენტროლიტის“ მეკოპეთა ბრიგადის ბრიგადირს.

**მელიქიშვილს** ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს — წითელწყაროს რაიონის სოფ. ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორთა ბრიგადის ბრიგადირს.

**მეუნარგიას** ვალერიან გერმანეს ძეს — ზუგდიდის რაიონის ინგირის ლენინის ორდენოსანი მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორთა ბრიგადის ბრიგადირს.

**სვანიძეს** ევტიხი ვიქტორის ძეს — ტყიბულის სამთამადნო კომბინატის ს. ორჯონიკიძის სახელობის შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირს

**ტანიაშვილს** გურამ დიმიტრის ძეს — თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენის“ ზეინკალ-ამწყობს.

**ტყემალაძეს** გიორგი აბელის ძეს — ჭიათურის ვ. ი. ლენინის სახელობის სამთამადნო კომბინატის გვირაბგამყვანს.

**ქემაშვილს** ვერა ბათურის ასულს — თბილისის კამვოლმაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ ოსტატის თანაშემწეს.

**ცერცვაძეს** გიორგი ალექსანდრეს ძეს — გორის რაიონის სოფ. ზეღდულეთის ტრაქტორისტთა ბრიგადის ბრიგადირს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1980 წლის 11 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 222 რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის ქიმიურ მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

### „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

**ტერკს** ფრიდა ბორისის ასულს — საქართველოს სსრ მრეწველობაში სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის კომიტეტის ქიმიურ-ტექნიკური ინსპექციის უფროს ინსპექტორს.

**შაფაქიძეს** ნაპოლეონ დიმიტრის ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის“ მახარაძის მაღაროთსამმართველოს მთავარ ინჟინერს.

**ჯაველიძეს** ჯონდო ლეონიდეს ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქპოლიმერკონტეინერის“ დირექტორს.

### „საქართველოს სსრ დამსახურებული ენერგეტიკოსი“

**კობახიძეს** აკაკი მიხეილის ძეს — რუსთავის ქიმიური ქარხნის მთავარ ენერგეტიკოსს.

**ლარიბაშვილს** სერგი არტემის ძეს — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მთავარ ენერგეტიკოსს.

### „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“

**ბუცაშვილს** თინა გაბრიელის ასულს — რუსთავის ქიმიური ქარხნის მეაპარატეს.

**დვალიშვილს** მიხეილ სერგის ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის“ „ქუთბარიტის“ მაღაროთსამმართველოს ზეინკალთა ბრიგადირს.

**ლობჟანიძეს** ლიდა დავითის ასულს —რუსთავის ქიმიური ქარხნის მეაპარატეს.

**ლობჟანიძეს** სერგი გრიგოლის ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის“ რაჭის სამთო-ქიმიური ქარხნის მეაპარატეს.

**მარტიროსოვს** არტურ გიორგის ძეს — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მეაპარატეს.

**მირიანაშვილს** ანზორ სარდიონის ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის“ მემანქანეს

**მოძღვრიშვილს** ციალა აქვსენტის ასულს — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მგრეხელს.

**ორდინიძეს** შალვა გრიგოლის ძეს — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის“ ჩორდის ბარიტის მაღაროთსამმართველოს ზეინკალ შემომვლელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**პოლოლიკაშვილს** გიორგი დანიელის ძეს — „საქმთავარნავთობმომარაგება-გასაღების“ სამმართველოს უფროსის თანაშემწეს.

**ფოჩხიძეს** გიორგი ტატესოსის ძეს — რუსთავის ქიმიური ქარხნის ელექტრომონტიორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1980 წლის 11 ივლისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 223 ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით და სუბტროპიკული კულტურების დარგში სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის ინსტიტუტის თანამშრომლებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“

**ბზიავას** მელქისედეკ ლუკიანეს ძეს — ინსტიტუტის აგროქიმიის განყოფილების უფროსს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს.

**ფირცხალაიშვილს** სიმონ ქრისტეფორეს ძეს — ინსტიტუტის აგროტექნიკის განყოფილების უფროსს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი“

**გვაზავას** ნინო იასონის ასულს — ინსტიტუტის ზუგდიდის ფილიალის უმცროს მეცნიერ თანამშრომელს.

**გვასალიას** ვალერიან პლატონის ძეს — ინსტიტუტის სოხუმის ფილიალის დირექტორს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატს.

**გოლიაძეს** შოთა კირილეს ძეს — ინსტიტუტის ტექნიკური კულტურების სელექციის განყოფილების უფროსს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატს.

**მუტოვკინას** ტატიანა დანიელის ასულს — ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატს.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკ. ბიბლიოთეკა

№ 7
ეროვნული ბიბლიოთეკა

**ცანავას** ვალერიან პეტრეს ძეს — ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს სამეცნიერო ნაწილში, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“

**ბიბილეიშვილს** გალაქტიონ ეფრემის ძეს — ინსტიტუტის ეკონომიკის განყოფილების უფროსს, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული მელიორატორი“

**მახარაძეს** ალიფონ ალექსანდრეს ძეს — ინსტიტუტის ნიადაგმცოდნეობისა და მელიორაციის განყოფილების გამგეს.

**ურუშაძეს** ვახტანგ გიორგის ძეს — ქ. ფოთში ინსტიტუტის კოლხეთის კომპლექსური სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგურის დირექტორის მოადგილეს სამეცნიერო ნაწილში.

„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული ინჟინერი“

**აფხაზავას** მამია გიორგის ძეს — ინსტიტუტის მექანიზაციის განყოფილების უფროსს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს.

**კარანაძეს** ბორის პეტრეს ძეს — ინსტიტუტის მცირე მექანიზაციის ლაბორატორიის უფროსს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს.

**კვიჟინაძეს** გრამიტონ ვარდენის ძეს — ქ. ფოთში ინსტიტუტის კოლხეთის კომპლექსური სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგურის დირექტორს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარი“

**ჩიტაიშვილს** ლამარა გურის ასულს — ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის გამგეს.

„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი“

**მილოვს** პეტრე ვასილის ძეს — ინსტიტუტის ტრაქტორისტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 11 ივლისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 224 რუსთაველის სახელმწიფო დრამატული თეატრის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის რუსთაველის სახელმწიფო **დრამატული თეატრის მუშაკებს** მიენიჭოთ საპატიო წოდება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ სახალხო არტისტი"

ფილფანს ლევან გალაქტიონის ძეს — მსახიობს.
შოთაძეს ეთერ გრიგოლის ასულს — მსახიობს.

„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე"

ანთაძეს გიორგი დიომიდეს ძეს — რეჟისორს.
იაკაშვილს გაიოზ ილიას ძეს — დირექტორს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი"

ბალიაშვილს ირაკლი სიმონის ძეს — მსახიობს.
ბეგალიშვილს ბაადურ ალექსანდრეს ძეს — მსახიობს.
დაუშვილს თენგიზ გიორგის ძეს — მსახიობს.
მაზიაშვილს ჯემალ ესტატეს ძეს — მსახიობს.
მაჩაბელს მანანა ზაალის ასულს — მსახიობს.
მიშველიძეს ლერი დიმიტრის ძეს — მსახიობს.
მუხულიშვილს ნათელა ილიას ასულს — მსახიობს.
სეთურიძეს ოთარ ივანეს ძეს — მსახიობს.
სხირტლაძეს შოთა ვასილის ძეს — მსახიობს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი"

ქელიძეს აივენგო ალექსანდრეს ძეს — მთავარ მხატვარს.

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი"

თუთარაშვილს მონავარდისი ლევანის ასულს — დასის გამგეს.
ფესვიანიძეს გიორგი სერაპიონის ძეს — მხატვარ-გრიმიორს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუხჰალტერი"

გაბრუაშვილს მარიამ გიორგის ასულს — მთავარ ბუხჰალტერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 11 ივლისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**225** ამხ. რ. ვ. არშბასათვის საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ქ. სოხუმის სრულიად საკავშირო ცენტრალური სპორტული ბაზის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დირექტორს ამხ. რაფიელ ვარლამის ძე **არშბას** მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი".

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1980 წლის 11 ივლისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 226 რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის სისტემის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის სისტემის მუშაკებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი"**

**აგაბაბოვს** ედუარდ არტაშის ძეს — საპროექტო ინსტიტუტ „საქსახწყალპროექტის" განყოფილების უფროსს.

**კოლესნიკოვს** ვლადიმერ ივანეს ძეს — საპროექტო ინსტიტუტ „საქსახწყალპროექტის" მთავარი ინჟინრის მოადგილეს.

**მათიაშვილს** თეიმურაზ ნიკოლოზის ძეს — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საშენ მასალათა და რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნების შულავრის სამრეწველო გაერთიანების დირექტორს.

**მუსერიძეს** ოთარ გერონტის ძეს — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საქმთავარწყალმშენის ტრესტ „წყალმშენის" № 5 სამშენებლო სამმართველოს უფროსს.

**ტატიშვილს** გურამ იონას ძეს — საპროექტო ინსტიტუტ „საქსახწყალპროექტის" დირექტორის მოადგილეს.

**ქაჯაიას** ჯიმშერ ვასილის ძეს — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილეს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული მელიორატორი"**

**ბერუჩაშვილს** გივი მარტიას ძეს — საპროექტო ინსტიტუტ „საქსახწყალპროექტის" განყოფილების უფროსს.

**ბოსიკაშვილს** თენგიზ შალვას ძეს — საპროექტო ინსტიტუტ „საქსახწყალპროექტის" განყოფილების უფროსს.

**მიმინოშვილს** კომუნარ სილოვანის ძეს — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ქუთაისის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროს ინჟინერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნუცუბიძეს** გიორგი დავითის ძეს — საპროექტო ინსტიტუტ „საქსახწყალპროექტის“ მთავარ სპეციალისტს.

**რუსიშვილს** არსენ ალექსანდრეს ძეს — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საქმთავარწყალმშენის ტრესტ „იორწყალმშენის“ № 3 სამშენებლო სამმართველოს უფროსს.

**საგინაშვილს** ნიკოლოზ ივანეს ძეს — პენსიონერს, საპროექტო ინსტიტუტ „საქსახწყალპროექტის“ განყოფილების ყოფილ უფროსს.

**ყულოშვილს** იროდიონ სიმონის ძეს — საპროექტო ინსტიტუტ „საქსახწყალპროექტის“ განყოფილების მთავარ გეოლოგს.

**ჩაჩუას** ალექსანდრე იაკობის ძეს — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს აფხაზეთის ასსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსს.

**„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორი“**

**ტურკიანს** ვაჰაკ დანიელის ძეს — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საქმთავარწყალმშენის ტრესტ „წყალმშენის“ № 2 სამშენებლო სამმართველოს მთავარ ინჟინერს.

**ჩრიკვიშვილს** ანტონ ივანეს ძეს — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამუშაოთა და მექანიზაციის სპეციალური ტრესტის № 11 მოძრავი მექანიზებული კოლონის მებულდოზერეს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ენერგეტიკოსი“**

**გუარიანს** რენე რუბენის ძეს — საპროექტო ინსტიტუტ „საქსახწყალპროექტის“ მთავარ სპეციალისტს.

**ცქიფურს** ალექსი გრიგოლის ძეს — სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საქმთავარწყალმშენის ტრესტ „ორგწყალმშენის“ ექსპერტიზის განყოფილების ექსპერტს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუხჰალტერი“**

**ქარციվაძეს** ნინო იოსების ასულს — საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მთავარი ბუხჰალტრის მოადგილეს.

**„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი“**

**ჟვანიას** კონსტანტინე დავითის ძეს — საპროექტო ინსტიტუტ „საქსახწყალპროექტის“ ადგილკომის განთავისუფლებულ თავმჯდომარეს.

№ 7
ეროვნული ბიბლიოთეკა

**„საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებელი“**

კახნიაშვილს ავთანდილ სიმონის ძეს — საპროექტო ინსტიტუტ „საქსახწყალპროექტის“ განყოფილების უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 17 ივლისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 227 ამხ. კ. მ. ილურიძისათვის საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან და შრომითი საქმიანობის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით ამხ. კონსტანტინე მიხეილის ძე **ილურიძეს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 17 ივლისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 228 რესპუბლიკის ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

**ბერაძე** გენო ივანეს ძე — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის“ მახარაძის მალაროთსამმართველოს მძღოლი.

**ბლიაძე** გურამ ნიკოლოზის ძე — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის“ ბაკურიანის ანდეზიტის საწარმოს ზეინკალი.

**ბურჯანაძე** ანზორ ვლასის ძე — ქუთაისის რეზინტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის მვალცავი.

**დემეტრაშვილი** არჩილ ნიკოლოზის ძე — რუსთავის ქიმიური ქარხნის უფროსი მეაპარატე.

**დუპლი** ივანე მინოს ძე — ქუთაისის ლითოფონის ქარხნის მომარაგების განყოფილების უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ეკიზაშვილი** ქეთევან პავლეს ასული — საწარმოო გაერთიანება „საქქიმიის“ მეთაური ქარხნის დამფასოებელი.

**ვახტანგაძე** გრიგოლ კონსტანტინეს ძე — ქუთაისის ლითოფონის ქარხნის კადრების განყოფილების გამგე.

**ირემაშვილი** ციალა გიორგის ასული — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ლაკოკრასპოკრიტიეს“ სპეციალური საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური ბიუროს № 4 განყოფილების ლაბორატორიის გამგე.

**კალმახელიძე** ევგენია ასლანის ასული — საწარმოო გაერთიანება „საქპოლიმერკონტეინერის“ პლასტმასების შემდუღებელი.

**კომლაძე** გიორგი დავითის ძე — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის ოსტატის თანაშემწე.

**მეკოშვილი** ნოდარ სტეფანეს ძე — რუსთავის ქიმიური ქარხნის ელექტრომონტიორი.

**სვანიშვილი** მამია სერგის ძე — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის სართავი საამქროს უფროსი.

**ტაბატაძე** ნორა დიმიტრის ასული — რუსთავის ქიმიური ქარხნის მეაპარატე.

**ტყემალაძე** ნაზო ვარლამის ასული — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის გადამხვევი.

**ფაჩულია** თამარ ეფრემის ასული — რუსთავის ქიმიური ქარხნის ლაბორანტი.

**ჩიქვილაძე** გალაქტიონ სილოვანის ძე — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის“ ჩორდის ბარიტის მაღაროთსამმართველოს ცვლის უფროსი.

**ცაბაძე** მურმან ბაგრატის ძე — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ლაკოკრასპოკრიტიეს“ სპეციალური საკონსტრუქტორო ტექნოლოგიური ბიუროს ზეინკალი.

**ძიძიკაშვილი** გიორგი ივანეს ძე — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის“ სარემონტო-მექანიკური ქარხნის ელექტროშემდუღებელი.

**ჭეიშვილი** ჩიტო არკადის ძე — ქუთაისის რეზინტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის ინჟინერ-ტექნოლოგი.

**ჭელიძე** იური არქიპოს ძე — საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმმრეწვის“ რაჭის სამთოქიმიური ქარხნის მთავარი ინჟინერი.

**ჯიქია** ცისანა დუხუს ასული — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის ფეიქარი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 11 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 229 ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით და სუბტროპიკული კულტურების დარგში სოფლის მეურნეობის მეცნიერების განვითარების საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ ინსტიტუტის თანამშრომლები:

**ბურჭულაძე** თეოფანე ევსევის ძე — ინსტიტუტის აგროქიმიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

**პატარავა** დიმიტრი ტროფიმეს ძე — ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, კონსულტანტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი.

**ჩეჟია** ანტიფო მარკოზის ძე — ინსტიტუტის ზუგდიდის ფილიალის დირექტორი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1980 წლის 11 ივლისი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 230 რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის მუშაკები:

**ბექაია** ირაკლი აკაკის ძე — მსახიობი.

**გაგნიძე** ჯემალ ვლადიმერის ძე — მსახიობი.

**გუდიაშვილი** ელისო ნიკოლოზის ასული — მსახიობი.

**დათუნაშვილი** ნანული ალექსანდრეს ასული — მსახიობი.

**მესხი** თამაზ ბენიამინის ძე — რეჟისორი.

**ქუთათელაძე** ანზორ კონსტანტინეს ძე — მთავარი რეჟისორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**წიქორიძე** ფელიქს გიორგის ძე — სადადგმო ნაწილის გამგე.
**ხახიძე** გივი დავითის ძე — მსახიობი.
**ხობუა** ია აკაკის ასული — მსახიობი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 11 ივლისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 231 ამხ. ლ. ვ. გველესიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ზესტაფონის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ლევან ვარლამის ძე **გველესიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 11 ივლისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 232 ამხ. ლ. ა. კიკნაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სახალხო კონტროლის გორის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ლეილა ალექსანდრეს ასული **კიკნაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 11 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 233 ამხ. ვ. ვ. ნინიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისა და ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობი ვიქტორ ვიქტორის ძე **ნინიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 11 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 234 ამხ. თ. ო. ჟვანიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური, საექიმო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის კათედრის პროფესორი თამარ ონისიმეს ასული **ჟვანია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 11 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 235 ამხ. გ. ა. სამხარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი გიორგი აპოლონის ძე **სამხარაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 11 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**236** ამხ. ი. ზ. ურჯუმელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ნაყოფიერი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მწერალი ივანე გიორგის ძე **ურჯუმელაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 11 ივლისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**237** ამხ. ვ. ი. ხარებავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის დირექტორი ამხ. ვახტანგ ივანეს ძე **ხარებავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 11 ივლისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**238** საგარეჯოს რაიონულ გაზეთ „ივრის განთიადის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მე-5000 ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით საგარეჯოს რაიონული გაზეთი **„ივრის განთიადი“** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 17 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 239 ამხ. ა. ა. თარხნიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს განყოფილების უფროსი ამხ. ალექსი ალექსანდრეს ძე **თარხნიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 23 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 240 ამხ. ო. მ. ჟვანიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით აფხაზეთის ასსრ „მთავლიტის“ უფროსი ამხ. ოლღა მიხეილის ასული **ჟვანია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 23 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 241 ამხ. ვ. ი. შონიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის დირექტორი ამხ. ვალერიან ივანეს ძე **შონია** და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 23 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 242 სომხეთის სსრ კ. ს. სტანისლავსკის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

1980 წლის 27 ივნისიდან 27 ივლისამდე ქალაქ თბილისში წარმატებულ გასტროლებთან დაკავშირებით სომხეთის სსრ კ. ს. სტანისლავსკის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 26 ივლისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 243 ამხ. ნ. შ. ვახაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პედაგოგიკური მეცნიერებისა და სახალხო განათლების განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნათელა შალვას ასული ვახაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 29 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 244 ამხ. მ. ი. ქოჩიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ა. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ამხ. მირიან ისიდორეს ძე **ქოჩიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 29 ივლისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 245 ამხ. გ. ა. თოთიბაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების გამგე ამხ. გიორგი ალექსანდრეს ძე **თოთიბაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 31 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 246 ამხ. ნ. ნ. ჩხეიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით მწერალი ნატალია ნიკოლოზის ასული **ჩხეიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. გილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1980 წლის 31 ივლისი.

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავის 1980 წლის 31 ივლისის სხდომაზე განიხილა საკითხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად სახალხო დეპუტატთა მეჩვიდმეტე მოწვევის რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული საბჭოთა მშენებლობის ორწლიანი სკოლების საქმიანობის სრულყოფის შესახებ.

აღინიშნა, რომ სკოლების მუშაობა მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს საბჭოთა კადრების ცოდნისა და საქმიანი კვალიფიკაციის დონის ამაღლებას.

საბჭოების საქმიანობისადმი პარტიის გაზრდილი მოთხოვნების შესაბამისად გასულ წელს სკოლებში მთავარი ყურადღება დაეთმო საბჭოთა აქტივის მიერ სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის ძირითადი დებულებების, ადგილობრივი საბჭოების შესახებ კანონთა ახალი რედაქციების, სხვა საკანონმდებლო აქტების, პარტიისა და მთავრობის დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებებში, გამოსვლებსა და შრომებში მოცემული მითითებებისა და დასკვნების, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესწავლას; ორგანიზაციისა და მართვის პრობლემებს, მუშაობის მოწინავე გამოცდილების განზოგადებასა და გავრცელებას, საბჭოთა აპარატის საქმიანობის სტილისა და მეთოდების სრულყოფას. რესპუბლიკაში დაწესებულია მეცადინეობის ერთიანი დღე; მასში, როგორც წესი, მონაწილეობენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

 № 7

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრ სკოლაში მეცადინეობა მიმდინარეობს სათანადო იდეურ-თეორიულ და ორგანიზაციულ დონეზე, რასაც თან ახლავს მსმენელთა მაღალი აქტიურობა.

ამასთან ერთად რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული საბჭოთა მშენებლობის სკოლების მუშაობის ანალიზი მოწმობს, რომ მათ საქმიანობაში კვლავ არის ნაკლოვანებანი და ხარვეზები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, გაითვალისწინა რა საბჭოთა კადრებთან მუშაობის შემდგომი სრულყოფის, მათი სწავლების ეფექტიანობისა და ქმედითობის ამაღლების საჭიროება, დაავალა სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს:

— იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებით, პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში მოცემული დებულებებითა და დასკვნებით, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილებით. ფართოდ გაშალონ ახალი სასწავლო წლისათვის მზადება საბჭოთა მშენებლობის სკოლებში. 1981 წლის თებერვლისათვის დასახული, აგრეთვე მომდევნო მეცადინეობანი მიუძღვნან სკკპ XXVI ყრილობის მასალების, იმ ამოცანების ღრმა და გულდასმით შესწავლას, რომელთაც ყრილობა დააყენებს საბჭოების წინაშე;

— ახალ სასწავლო წელს სკოლების მუშაობა უფრო სრულად დაუმორჩილონ სახალხო დეპუტატთა საბჭოების, მათი ორგანოების, ქვედანაყოფებისა და საზოგადოებრივი ფორმირებების როლისა და აქტიურობის შემდგომი ამაღლების ამოცანებს. დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი საბჭოთა მუშაკების იდეურ-თეორიული დონისა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის მუშაობის ორგანიზაციაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად;

— ყოველდღიურად და დაკვირვებით შეისწავლონ საბჭოების აპარატებსა და მათ ორგანოებში მომუშავე კადრები; თვალყური ადევნონ მათს პოლიტიკურ და საქმიან ზრდას; გააძლიერონ კონტროლი იმაზე, რომ შესაბამისი კატეგორიების კადრები დროულად იგზავნებოდნენ მუდმივმოქმედ კურსებზე; დაბრუნების შემდეგ საბჭოთა მშენებლობის სკოლების მეცადინეობებზე მოისმინონ მათი ინფორმაციები;

— სრულყონ დეპუტატთა ოთახებისა და ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის კაბინეტების მუშაობა, დროულად მიაწოდონ ხელისუფლების სასოფლო და სადაბო ორგანოებს გაანალიზებული მასალები და საჭირო საცნობარო-საინფორმაციო ლიტერატურა საბჭოების მუშაობის დადებითი გამოცდილების შესახებ;

— აამაღლონ საბჭოთა მშენებლობის სკოლების მუშაობის ორგანიზაციისა და შინაარსის დონე, მიაღწიონ მის მეტ მიზანდასახულობას, სისტემურობასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ქმედითობას. უზრუნველყონ მეცადინეობათა ჩატარების რეგულარობა იმ ვადებში, რომლებიც დაწესებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით მოწონებული სასწავლო-თემატიკური გეგმით, არ დაუშვან მეცადინეობის გადატანის შემთხვევები;

— დააწესონ სისტემატური კონტროლი ყოველი მეცადინეობის მომზადებაზე; უფრო ფართოდ მიიზიდონ ლექციების, მოხსენებების, საუბრებისა და სემინარული მეცადინეობების ჩასატარებლად რაიონული, საქალაქო და რესპუბლიკური ორგანოების პასუხისმგებელი მუშაკები, მეცნიერები და სხვადასხვა დარგის წამყვანი სპეციალისტები; ახალ სასწავლო წელს სკოლების მეცადინეობებზე ლექციებში, მოხსენებებსა და გამოსვლებში ფართოდ გააშუქონ სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის მე-60 წლისთავისათვის მზადების მიმდინარეობა, საბჭოების მუშაობის დადებითი გამოცდილება, ამომრჩეველთა განაწესების შესრულების პრაქტიკა, ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის მდგომარეობა, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების აქტუალური საკითხები; სოციალისტური სახალხო ხელისუფლების შემდგომი განვითარების პრობლემები, დემოკრატიზმის, საჯაროობის, საზოგადოების საქმეების მართვაში მშრომელთა მონაწილეობის თანამიმდევრული გაფართოების პრინციპები; სახელმწიფო აპარატის სრულყოფის, დეპუტატთა, მუდმივი კომისიების, მოსახლეობის თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიურობის ამაღლების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცების, ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაზე საბჭოების ზემოქმედების, ყველა რგოლში შესრულების კონტროლის გაძლიერების, მუშაობის ფორმების, სტილის, მეთოდების, ხარისხისა და ეფექტიანობის გაუმჯობესების პრინციპები;

— მიაღწიონ სკოლების მეცადინეობებზე მსმენელთა მაღალ აქტიურობას, პერსპექტიული ამოცანების გათვალისწინებით მიღწეულის კრიტიკულ და თვითკრიტიკულ გააზრებას, არსებული დარღვევებისა და ნაკლოვანებების გამომწვევი მიზეზებისა და პირობების ანალიზს; შეურიგებლობის სულისკვეთებას პარტიული, სახელმწიფო და საშემსრულებლო დისციპლინის, საბჭოური ცხოვრების წესის ნორმების დარღვევებისადმი, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენებისადმი, საბჭოთა აპარატში მედიდურობის, გულგრილობის, ბიუროკრატიზმისა და არაობიექტურობის გამოვლინებისადმი შეუწყნარებლობას;

— განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სახალხო დეპუტატთა ყველა დონის საბჭოების ინიციატივისა და აქტიურობის შემდგომ განვითარებას, წარმართონ იგი მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის შემოქმედებითი ძალების სამობილიზაციოდ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დასახული პროგრამის პრაქტიკული განხორციელებისათვის;

— თვალყური ადევნონ იმას, რომ საბჭოთა მუშაკები დაეუფლონ ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნებას, შეიძინონ მშრომელებთან შეხვედრისა

№ 7
ეროვნული
ბიბლიოთეკა

და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების გამოცდილება საბჭოების საქმიანობის გასაუმჯობესებლად და საბჭოთა მუშაკების შრომის ეფექტიანობისა და ხელისუფლების ორგანოების ავტორიტეტის ასამაღლებლად.

*
*   *

ამავე სხდომაზე განიხილეს საკითხი საყოფაცხოვრებო კონფლიქტების ნიადაგზე სამართალდარღვევათა აცილებისათვის ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. აღინიშნა, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1979 წლის 16 ოქტომბრისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 10 დეკემბრის დადგენილებათა შესასრულებლად საყოფაცხოვრებო კონფლიქტების ნიადაგზე სამართალდარღვევათა აცილების რესპუბლიკურმა კომისიამ (თავმჯდომარე ამხ. ვ. სირაძე), ადგილობრივმა საბჭოთა ორგანოებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, სამართალდამცველ ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტში გარკვეული მუშაობა გასწიეს საყოფაცხოვრებო ხასიათის სამართალდარღვევათა ასაცილებლად.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად განვლილ პერიოდში შეინიშნება საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ჩადენილ სამართალდარღვევათა ხვედრითი წილის შემცირება დანაშაულთა საერთო სტრუქტურაში, რომლებიც მიმართულია ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საზიანოდ.

რამდენადმე ამაღლდა კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებაში სახალხო დეპუტატთა საბჭოების, მათი ორგანოების, დეპუტატებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლების ჩარევის ეფექტიანობა, მათი როლი მტრულად განწყობილი მხარეების შერიგებაში; ისინი მეტი ყურადღებით სწავლობენ მეზობლებს შორის და ოჯახური კონფლიქტური სიტუაციების ხელშემწყობ მიზეზებსა და პირობებს; უფრო კონკრეტულად წყვეტენ დაუსაქმებელი შრომისუნარიანი მოსახლეობისა და საშუალო სკოლადამთავრებული ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის საკითხებს, ლოთობასა და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის გაძლიერების, თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან დაბრუნებულ პირებზე დაკვირვების, ალკოჰოლიზმით და ფსიქიკურად დაავადებულ პირთა აღრიცხვისა და სამკურნალოდ გაგზავნის საკითხებს.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომების ყურადღებას მიაპყრობს მათ მიერ ჩატარებული გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური მუშაობის არასაკმარის ეფექტიანობაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასკომებს დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებები სამართალდამცველი, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასაძლიერებლად საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთა აცდენისათვის; უზრუნველყონ კომპლექსური მიდგომა მართლწესრიგისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების პრობლემებისადმი; ყოველმხრივ გააქტიურონ მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფებისა და საარჩევნო ოლქებში დეპუტატების საქმიანობა ამ მიმართულებით;

— საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ჩადენილი ყოველი დანაშაული გახადონ ღრმა შესწავლის საგანი, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მისი წარმომშობი მიზეზებისა და პირობების ოპერატიულ აცდენას; კონკრეტულად, კანონის მთელი სიმკაცრით მოსთხოვონ პასუხი თანამდებობის პირებს გულგრილობისა და უპასუხისმგებლობისათვის, საყოფაცხოვრებო კონფლიქტების მოსაწესრიგებლად ზომების დროულად მიუღებლობისათვის;

— ყოველკვარტალურად განიხილონ აღმასკომების სხდომებზე საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთა პროფილაქტიკისათვის მუშაობის მდგომარეობა; პრაქტიკაში შემოიღონ სამართალდამცველი ორგანოების ხელმძღვანელთა გამოსვლა სახალხო დეპუტატთა საბჭოების სესიებზე, შრომით კოლექტივებში, სოფლის ყრილობებზე და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საყოფაცხოვრებო კონფლიქტების ნიადაგზე ჩადენილ სამართალდარღვევათა აცდენის საკითხების თაობაზე; საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთა შესახებ სწორი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისათვის გამოიყენონ ადგილობრივი პრესა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი;

— მიაღწიონ საბჭოთა დაწესებულებებში, სამეურნეო ორგანიზაციებსა და ადგილობრივ სამართალდამცველ ორგანოებში მოქალაქეთა მიმართვებისადმი გულისხმიერ და მზრუნველ დამოკიდებულებას; აღძრული საკითხების გადაწყვეტისას უზრუნველყონ ოპერატიულობა „მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულების შესაბამისად (1980 წლის 4 მარტს შეტანილი ცვლილებებითა და დამატებებით);

— გააძლიერონ მუშაობა დაუსაქმებელი შრომისუნარიანი მოსახლეობის, განსაკუთრებით საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის თავის ამრიდებელ პირთა და თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებულ პირთა შრომითი მოწყობისათვის; განახორციელონ ქმედითი ზომები ლოთობასა და ალკოჰოლიზმთან ბრძოლისათვის, ალკოჰოლიზმითა და ფსიქიკურად დაავადებულთა აღრიცხვის გასაუმჯობესებლად და სამკურნალოდ გასაგზავნად.

რესპუბლიკის პროკურატურას, უმაღლეს სასამართლოს და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალათ გააძლიერონ მომთხოვნელობა ადგილობრივი სამართალდამცველი და სასამართლო ორგანოებისადმი საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთა აცდენისათვის. სისტემატურად გააანალიზონ საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ჩადენილი სამართალდარღვევებისათვის ხანგრძლივად დაუსჯელობის მიზეზები, აამაღლონ სამართალდამრღვევთა მიმართ გამოყენებული ზომების ეფექტიანობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

სხდომაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიური სამმართველოს უფროსის ინფორმაცია საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობის თაობაზე.

აღინიშნა, რომ ამ საქმეში გარკვეული მუშაობაა ჩატარებული. სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საწარმოებში წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფისათვის განხორციელებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად შემცირდა მავნე გამონაბოლქვები, მეტი ყურადღება ექცევა აირგამწმენდი და მტვერსაჭერი დანადგარების ექსპლუატაციისა და მათი ეფექტიანობის სრულყოფის საკითხებს. ასევე ნაკლებ აჭუჭყიანებს ატმოსფეროს თბილისის კერამიკული კომბინატი. რუსთავისა და კასპის ცემენტის ქარხნებში, რუსთავისა და ლილოს საშენ მასალათა კომბინატებში დამონტაჟდა ახალი მტვერსაჭერი დანადგარები ან მიმდინარეობს არსებულის კაპიტალური რემონტი. ზოგიერთ საწარმოში ჩატარდა მავნე გამონაბოლქვების წყაროების პასპორტიზაცია, შეიქმნა გარემოს დაცვის სპეციალური სამსახურები.

მიუხედავად მიღებული ზომებისა, ატმოსფერული ჰაერის დაცვის საქმეში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. აირგამწმენდი და მტვერსაჭერი დანადგარების არადამაკმაყოფილებელი ტექნიკური მდგომარეობის, სამრეწველო საწარმოთა სიმძლავრეებთან მათ სიმძლავრეთა შეუსაბამობის და ახალი დანადგარების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დაბალი ტემპის გამო ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა რაოდენობა ზღვრულად დასაშვებ ნორმებს აჭარბებს (ქ. ქ. თბილისი, რუსთავი, კასპი, მარნეული, თელავი, გარდაბანი). სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ 19 საწარმოში ატმოსფეროს გამჭუჭყიანების 317 წყაროდან 219 აღჭურვილი არ არის აირგამწმენდი დანადგარით, ხოლო 98 დანადგარიდან 71 გაუმართაობის გამო არაეფექტიანია.

რუსთავისა და კასპის ცემენტის, ტყვარჩელის საშენ მასალათა ქარხნების, რუსთავისა და ლილოს საშენ მასალათა კომბინატების ელექტროფილტრების ეფექტიანობა ძალზე დაბალია, რის გამოც ისინი ატმოსფეროში დიდძალ მტვერს აფრქვევენ; ეს კი, გარდა ჰაერის აუზის გაბინძურებისა, დიდ მატერიალურ ზარალს აყენებს სახელმწიფოს. აღნიშნული მდგომარეობის მიუხედავად სამინისტრომ წარმოებაში ვერ შეძლო ცემენტის მტვრის გადამუშავების რეკომენდაციების დანერგვა.

ბევრ საწარმოში სათანადო ყურადღება არ ექცევა აირგამწმენდი და მტვერსაჭერი დანადგარების სწორი ექსპლუატაციის, შეკეთების, მათი საჭირო საკონტროლო-გამზომი ხელსაწყოებით დაკომპლექტების, აგრეთვე ამ დანადგარების მომსახურე პერსონალის სწავლების საქმეს. ამის გამო რუსთავისა და კასპის ცემენტის ქარხნებში, რუსთავის, აჯამეთის და ლილოს საშენ მასალათა კომბინატებში, ავჭალის სილიკატური საკედლე მასალის ქარხანაში არსებული დანადგარების უმრავლესობა მწყობრიდან გამოსულია, ავარიულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობაშია ან არასრული დატვირთვით მუშაობს, რის შედეგადაც ატმოსფერული ჰაერი ინტენსიურად ჭუჭყიანდება.

საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში ატმოსფერული ჰაერის დაცვის საკითხის მოუგვარებლობის ერთ-ერთი მიზეზია დაგეგმილ ღონისძიებათა არასაკმარისი დაფინანსება, აგრეთვე მუდმივი კონტროლის უქონლობა პარტიული და საბჭოთა ორგანოების, სამინისტროებისა და სათანადო უწყებების დადგენილებათა შესრულებაზე. მაგალითად, სამინისტრომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამისი დადგენილების მიუხედავად, სახსრები არ გამოუყო რუსთავის საშენ მასალათა კომბინატს აირგამწმენდი დანადგარების რეკონსტრუქციისათვის, ხოლო კასპის ცემენტის ქარხანას უკვე რამდენიმე წელია საერთოდ შეუწყვიტეს ასეთ დანადგართა მშენებლობის დაფინანსება. არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ამ მიზნებისათვის გამოყოფილი თანხების ათვისების საქმეშიც.

შექმნილი მდგომარეობა იმითაც არის გამოწვეული, რომ აღნიშნული ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები ჯერ კიდევ ვერ იყენებენ კანონით მინიჭებულ უფლებას და არ ახორციელებენ სახელმწიფო კონტროლს ატმოსფერული ჰაერის სანიტარიული დაცვის მდგომარეობაზე, მკაცრ მომთხოვნელობას არ იჩენენ სამრეწველო საწარმოთა საქმიანობისადმი გარემოს გაჯანსაღების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სათანადო დავალებანი მისცა საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკურ სამმართველოს, აირგამწმენდი ნაგებობების ზედამხედველობის საქართველოს რეგიონალურ ინსპექციას, დადგენილებაში აღნიშნული ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს.

*

*    *

სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა მუშაობის კაბინეტის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებასთან საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი საბჭოთა მუშაობის კაბინეტი გადაკეთდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს (განყოფილების უფლებით) საბჭოთა მუშაობის კაბინეტად, რომელიც უნდა იქცეს საბჭოთა მუშაობის მეთოდიკის, მისი მოწინავე გამოცდილების, სასარგებლო თაოსნობათა და ინიციატივის განზოგადების, პროპაგანდისა და დანერგვის რესპუბლიკურ ცენტრად.

საბჭოთა მუშაობის კაბინეტის ამოცანებად მიჩნეულ იქნა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის ყველა საკითხში, საბჭოთა კანონმდებლობის შესრულებისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობის, აგრეთვე სამეურნეო-კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობისათვის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების, აღებული სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის მათი აღმასრულებელი კომიტეტების საქმიანობის ანალიზი:

— მუდმივი მეთოდური დახმარების გაწევა აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებისა და მინისტრთა საბჭოებისათვის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისათვის, სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, მუდმივი კომისიების, დეპუტატების, მოსახლეობის თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საბჭოთა აქტივისათვის მათი საქმიანობის ფორმების, სტილისა და მეთოდების სრულყოფაში;

— საჭირო ინფორმაციის შეკრება, დამუშავება, შენახვა და ოპერატიულად გაცემა, მეთოდური რეკომენდაციების, საცნობარო-საინფორმაციო მასალების გამოცემა;

— რესპუბლიკური და რეგიონალური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების, შეკრებების, სემინარების, დათვალიერება-კონკურსების, გამოფენებისა და სხვა ორგანიზაციული და პროპაგანდისტული ღონისძიებების ორგანიზაცია და ჩატარება საბჭოთა აქტივისათვის;

— საბჭოთა მშენებლობის პრობლემებზე სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურისა და სხვა გამოცემების ანოტაცია, გამომცემლობებისა და მასობრივი ინფორმაციის ორგანოების მუშაობის წარმართვა ამ პრობლემებზე წიგნების, ბროშურების, საკანონმდებლო აქტების, მასალების გამოსაცემად;

— მუდმივი საქმიანი, შემოქმედებითი კონტაქტები სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან; მეცნიერების, აგრეთვე სხვადასხვა დარგის კომპეტენტური სპეციალისტების ფართოდ მიზიდვა საბჭოთა მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად.

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სხდომაზე განიხილა აგრეთვე საკითხები: 1980 წლის პირველ ნახევარში საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შემოსული მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების შესახებ; თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან განთავისუფლებულ პირთა შრომითი მოწყობის შესახებ კანონმდებლობის დარღვევების თაობაზე; საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში 1978-1979 წლებში პატიების გამოყენების პრაქტიკის შესახებ და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

ყველა განხილულ საკითხზე მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

## საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 31 ივლისის ბრძანებულებით „შრომის ვეტერანის" მედლით დაჯილდოვდა 1658 კაცი:

| | |
|---|---|
| ქ. თბილისის კალინინის რაიონიდან | 76 |
| „ კიროვის „ | 43 |
| „ 26 კომისრის „ | 40 |
| „ საქარხნო „ | 83 |
| ქ. გორიდან | 17 |
| ქ. რუსთავიდან | 199 |
| ქ. ფოთიდან | 24 |
| ამბროლაურის რაიონიდან | 100 |
| ბოლნისის „ | 31 |
| ბორჯომის „ | 7 |
| თეთრიწყაროს „ | 96 |
| თიანეთის „ | 34 |
| ლენტეხის „ | 212 |
| მახარაძის „ | 16 |
| სამტრედიის „ | 137 |
| სიღნაღის „ | 204 |
| ყაზბეგის „ | 100 |
| წალკის „ | 44 |
| წითელწყაროს „ | 69 |
| ხაშურის „ | 126 |